

06.09.2019

ცვლილება შევიდა დოკუმენტის - „EHR-ში შესატანი ინფორმაციის აღწერა“, შემდეგ ნაწილებში:

1. ზოგადი ნაწილი - ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში ინფორმაცია, 1 სექტემბრიდან, ასევე, უნდა აისახოს სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების იმ მოსარგებლეთა შესახებ, რომლებიც მკურნალობას გადიან სტაციონარულ, დღის სტაციონარულ, გადაუდებელ და ამბულატორიულ რეჟიმში, ასევე, პირველადი ჯანდაცვის სერვისის მომხმარებელთა შესახებ.
2. საინფორმაციო დოკუმენტებში დაემატა EHR სისტემაში შესატანი ინფორმაციის აღწერა (1)დღის სტაციონარის, გადაუდებელი ამბულატორიისთვის, ამბულატორიული მომსახურებისთვის და (2)პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლებისთვის.
3. სისხლის გადასხმის სექციაში სისხლის თითოეული კომპონენტის საერთო გადასხმული რაოდენობა უნდა მიეთითოს მილილიტრებში.
4. ლაბორატორიული გამოკვლევებისა და კლინიკურ-დიაგნოსტიკური კვლევების სექციებიდან მოიხსნა „სტატუსის“ ველი. აქედან გამომდინარე სისტემაში უნდა აღირიცხოს მხოლოდ დასრულებული, სათანადო შედეგის მქონე კვლევები. ამასთან, თუ სისტემაში უკვე მითითებული გაქვთ „მიმდინარე“ კვლევა, იგი უნდა წაიშალოს და თავიდან უნდა მოხდეს დასრულებული კვლევის შეტანა, იქნება ეს დასრულებული თუ რედაქტირებად რეჟიმში მყოფი ეპიზოდი.
5. მკურნალობის პროცესში არსებულ დანიშნულებების სექციაში დაემატა წამლის საძიებლიდან მედიკამენტის ასარჩევი ველი. მედიკამენტები, რომლებიც ჰოსპიტალიზაციის ეპიზოდში იქნა გამოყენებული, პირველ რიგში, უნდა მოიძებნოს წამლის საძიებელში და ასე დაემატოს შეაბამის ველში (მედიკამენტის არჩევა წამლის საძიებლიდან), ხოლო თუ მედიკამენტი არ იძებნება საძიებელში, მას ექიმი შეიყვანს ხელით, შემდეგ ველში: „მედიკამენტი, რომელიც არ მოიძებნა საძიებელში“.
6. „გაწერის“ „ეპიზოდის გამოსავლის“ სექციის „ეპიზოდის შედეგის“ ველში დაემატა რუბრიკა „დაუსრულებელი“. აღნიშნული ვარიანტი არ ეხება სტაციონარულ შემთხვევებს, ის ეხება მხოლოდ იმ შემთხვევებს, რომლებშიც შესაძლებელია ერთი ეპიზოდის ფარგლებში რამდენიმე ვიზიტის დამატება (აღნიშნული რეალიზებულია დღის სტაციონარის, გადაუდებელი ამბულატორიისა და ამბულატორიული მომსახურების ტიპებში).